

სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N 199 საჯარო სკოლაში
მოსწავლეთა მიღების წესი

მუხლი N1. მოსწავლეთა მიღება სასწავლო წლის დაწყების წინ

1. სკოლის მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასში, მშობლების სურვილის შემთხვევაში, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან:
 - ა) იმ წელს ეროვნული ოლიმპიადებიდან (მათემატიკაში, ფიზიკაში, ინფორმატიკის ეროვნულ ტურნირში ან ფიზიკა-მათემატიკის სკოლების ოლიმპიადაზე) ვინც დააგროვა მაქსიმალური ქულის 50% ან მეტი;
 - ბ) იმ წელს საერთაშორისო ან ჟაუტიკოვის, ან გოგონათა ევროპის ოლიმპიადაზე მედლის მფლობელები;
 - გ) იმ წელს საქართველოს საგნობრივი ნაკრების (მათემატიკაში, ფიზიკაში, ინფორმატიკაში, ქიმია ან ბიოლოგიაში) წევრები ან რეზერვისტები.
 - დ) იმ წელს პროექტ IYPT-ის ან IYNT-ის საქართველოს ნაკრების წევრები.
2. „შაბათის სკოლის“ მე-6 კლასიდან სკოლის მე-7 კლასში მოსწავლეები სკოლაში ჩაირიცხებიან შემდეგი წესით:

„შაბათის სკოლის“ მესამე მოდულის შემაჯამებელი წერის წინ სკოლის დირექტორის წარდგინებით სამეურვეო საბჭოს მიერ განისაზღვრება „შაბათის სკოლის“ მესამე მოდულის შემაჯამებელი წერით მისაღები მოსწავლეების რაოდენობა და წესი. სკოლაში ჩაირიცხებიან შემაჯამებელი წერის რეიტინგში ამ წესითა და რაოდენობით განსაზღვრული საუკეთესო შედეგების მქონე მოსწავლეები.
3. ყველა სხვა მოსწავლე, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ მუხლის „1-2“ პუნქტებში, სკოლაში ჩაირიცხება მხოლოდ მისაღები გამოცდის საფუძველზე (ჩატარების შემთხვევაში).
4. მე-12 კლასში მისაღები გამოცდა (ჩატარების შემთხვევაში) შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ მოსწავლეებისათვის, რომლებმაც მე-10 კლასი დაამთავრეს კომაროვის სკოლაში, ხოლო მე-11 კლასში სწავლობდნენ სხვა სკოლაში. ამ გამოცდის ჩატარების ან არ ჩატარების საკითხი განისაზღვრება სკოლის დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.
5. მისაღები გამოცდების საკონკურსო პირობები განისაზღვრება სკოლის დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.

მუხლი N2. მე-12 კლასელების სკოლაში მიღება მე-2 სემესტრიდან

1. სხვა სკოლის მე-12 კლასის ის მოსწავლეები, რომლებიც წინა სასწავლო წელს სწავლობდნენ სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში და დაძლეული აქვთ ფიზიკის ბარიერი მე-11 კლასში, ჩაირიცხებიან ქვიზების საფუძველზე:

- პირველ სემესტრში წერენ 3 ქვიზს მათემატიკაში და ამ სამი ქვიზიდან 2-ის დაძლევის შემთხვევაში მოსწავლეს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს კომაროვის სკოლაში მეორე სემესტრიდან.
- ამ მუხლის პირველი პუნქტში განსაზღვრული 3 ქვიზიდან პირველი ქვიზის საგამოცდო პროგრამა არის კომაროვის სკოლის მე-11 კლასის მათემატიკის პროგრამიდან.
 - მე-12 კლასის ის მოსწავლე, რომელიც წინა სასწავლო წელს სწავლობდა კომაროვის სკოლაში და ფიზიკაში არ აქვს დაძლეული მე-11 კლასის ბარიერი, მათემატიკის ქვიზების დაძლევის შემთხვევაში წერს კიდევ ერთ ქვიზს ფიზიკაში მე-11 კლასის პროგრამით და ამ ქვიზზე ბარიერის ვერ დაძლევის შემთხვევაში მეორე სემესტრიდან არ ჩაირიცხება კომაროვის სკოლაში.
 - ქვიზის დაძლევის წესი იგივეა, რაც განსაზღვრული იყო სკოლის მოსწავლეებისათვის, ასახულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში.

მუხლი N3. სხვა პირობები და ცვლილებების/დამატებების შეტანა

- მისაღებ გამოცდაზე დაიშვება ის მოსწავლე, რომელიც გამოცდის წინა დღეს ირიცხება სხვა სკოლის მოსწავლეთა ბაზაში. სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოცდაზე დაუშვას ის მოსწავლეს, რომლის მშობელმა ობიექტური მიზეზით ვერ მოასწრო მოსწავლის გადაყვანა.
- მოსწავლემ, რომელმაც დაძლია კონკრეტული კლასი, იმავე კლასში არ ჩაირიცხება.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მშობელი არ გამოთქვამს მოსწავლის სკოლაში სწავლის გაგრძელების სურვილს, მიღების შემთხვევაში შემთხვევაში, სკოლაში მიიღება მისაღები გამოცდის რეიტინგში მომდევნო შედეგის მქონე მოსწავლე.
- 2022-23 სასწავლო წლიდან სკოლაში არ მიიღება მოსწავლე, რომელმაც სხვადასხვა დროს ორჯერ ვერ დაძლია კომაროვის სკოლის კლასიდან კლასში გადასვლის ბარიერი.
- სკოლაში მიღებაზე შეიძლება უარი ეთქვას მოსწავლეს, რომლის დახასიათებიდანაც გამოიკვეთება, რომ მოსწავლეს წინა სასწავლო წელს ჰქონდა დისციპლინური გადაცდომები.
- სკოლაში არ მიიღება მოსწავლე, რომლის მიმართაც სკოლის მიერ გამოტანილია დისციპლინური სახდელი - სკოლიდან გარიცხვა.
- 2022-23 სასწავლო წლიდან სკოლაში მე-8 კლასების რაოდენობა უნდა იყოს იმაზე ნაკლები ან ტოლი, რაც წინა სასწავლო წელს მე-7 კლასების რაოდენობა იყო.

8. ცვლილებები და დამატებები ამ წესში განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლის დირექტორის წარდგინებით.

მუხლი N4. გარდამავალი დებულება (მოქმედებს მხოლოდ 2022 წლის 1 აგვისტომდე)

1. სხვა სკოლის მე-10 კლასის ის მოსწავლეები, რომლებმაც 2020-21 საწავლო წელს მე-9 კლასი დაამთავრეს კომაროვის სკოლაში, სკოლის მე-11 კლასში ჩაირიცხებიან შემდეგი წესით:

ეს მოსწავლეები 2021-22 სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეებთან ერთად წერენ ქვიზებს და ქვიზების ბარიერის დაძლევის შემთხვევაში 2022-23 სასწავლო წელს ჩაირიცხებიან სკოლის მე-11 კლასში, იმ განსხვავებით, რომ მათთვის დამატებითი (საშემოდგომო) ქვიზი არ განისაზღვრება. ქვიზის დაძლევა იგივეა, რაც სკოლის მოსწავლეებისათვის, რაც ასახულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში.

2. სხვა სკოლის მე-11 კლასის ის მოსწავლეები, რომლებმაც 2020-21 საწავლო წელს მე-10 კლასი დაამთავრეს კომაროვის სკოლაში, სკოლის მე-12 კლასში ჩაირიცხებიან შემდეგი წესით:

ეს მოსწავლეები 2021-22 სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეებთან ერთად წერენ ქვიზებს და ქვიზების ბარიერის დაძლევის შემთხვევაში 2022-23 სასწავლო წელს ჩაირიცხებიან სკოლის მე-12 კლასში, იმ განსხვავებით, რომ მათთვის დამატებითი (საშემოდგომო) ქვიზი არ განისაზღვრება. ქვიზის დაძლევა იგივეა, რაც სკოლის მოსწავლეებისათვის, რაც ასახულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში.

წარდგენილია სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ.

სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199

საჯარო სკოლის დირექტორი:

/ივანე კვიციანი/

შეთანხმებულია სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 17.07.2021 წ. სხდომაზე.

სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე :

/გიორგი ლომიძე/